



საქართველო

რესპუბლიკა

მთავრობის მოამბე, უფროსი განყოფილება
(ოფიციალური და არაოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგა 3 მან.
განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტრის სტრიტ. 8 მან. 4-ზე გ. 6 მან.
სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15-2) 150 მ., განცხ.
საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასაბარტოლ. უწყ. განცხადებ.
ანი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% რედა.
ციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1-89

ტფილისის გზის მშენებლის გაგზავნა აწით აცხადებს,

რომ მზრის ნაფიც მსაჯულთა სიები შედგენილია. მათი გადათავსებები და განცხადების
შემოტანა შეიძლება ერობის მდივანთან ორი კვირის განმავლობაში. დღიდან გამოცხადები-
სა 16 აგვისტოდან დღის 9 საათიდან 1 საათამდე.

2348 2-2

ოფიციალური განცხადება.

დეკრეტი

რესპუბლიკის ყველა დაწესებულებათა
და წარმოებათა მუშა-მოსამსახურეთა-
თვის ჯამაგირის მომატებისა.

1. მოემატოს ამა 1920 წ. აგვისტოს 1-დან
რესპუბლიკის ყველა სამოქალაქო და სამხედ-
რო დაწესებულებათა და წარმოებათა მუშა-
მოსამსახურეთ აგრეთვე ლაშქრისა და სახალ-
ხო გვარდიის ოფიცრებს, ექიმებს, მოხელეთ,
ჯარის კაცებსა და გვარდიელებს, გარდა სა-
ხელმწიფო ბანკის თანამდებობის პირთა, —
ჯამაგირი შემდეგის წესით:

ვინც იღებდა 1920 წლის აგვისტოს 1-დღე
2,500 მანეთამდე მიემატოს 100%, ვინც
იღებდა 1920 წლის აგვისტოს 1-დღე 2,501 მ.
— 3000 მ.—დღე 90%, ვინც იღებდა 1920
წლის აგვისტოს 1-დღე 3,001 მ.— 3,500 მ.—დღე
80%, ვინც იღებდა 1920 წლის აგვისტოს
1-დღე 3,501 მ.— 4,000 მ.—დღე 70%, ვინც
იღებდა 1920 წლის აგვისტოს 1-დღე 4,001 მ.—
4,500 მ.—დღე 60%, ვინც იღებდა 1920
წლის აგვისტოს 1-დღე 4,501 მ. და მეტს
50%.

შენიშვნა: ამ მუხლში აღნიშნული მომა-
ტება გავრცელდეს აგრეთვე დამფუძნებელი
კრების წევრებსა, მინისტრებსა და მათ ამ-
ხანაგებზე, სახელმწიფო კონტროლიორსა და
მის ამხანაგებზე.

2. თანახმად 1-ლ მუხლში აღნიშნული წე-
სისა, მუშა-მოსამსახურენი ჯამაგირის მიხედ-
ვით განიყოფებიან ექვს კატეგორიად და მო-
მატება გატარებულ იქნეს ისე, რომ მუშა-
მოსამსახურე წინა კატეგორიისა არ იღებდეს
იმდენს ან მეტს, რამდენსაც იღებს შემდეგი
კატეგორიის მუშა-მოსამსახურე.

3. ყველა სახელმწიფო წარმოების (რო-
გორც სამოქალაქო ისე სამხედრო) უწყების,
აგრეთვე სახანო რკინის გზის) მუშა-მოსამ-
სახურეთა ხელფასის ტარიფს აწესებს შრო-
მის სამინისტრო 1-ლ მუხლში აღნიშნულ
ნორმებთან შეფარდებით.

4. პირველ მუხლში აღნიშნული საკუთრე-
ბისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინი-
დან ფინანსთა მინისტრის განკარგულები-
სათვის ყოველთვიურად სათანადო თანხა,
რომელიც უნდა იქნეს განაწილებული ფი-
ნანსთა სამინისტროს მიერ უწყებათა შორის.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან
მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.
1920 წ. აგვისტოს 16-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე გრ. ლორთქიფანიძე.

დეკრეტი

გულეიკარის თემის გამოყოფისა და
ქუთაისის მაზრაზე მიწერისა.

1. გამოეყოს ოზურგეთის მაზრის სოფლე-
ბი ნოდა და ტოლუბი, სენაკის მაზრის სოფ.
კულეიკარი და შეუერთდეს ქუთაისის მაზრის
სოფლებს ქორეის უბანს და ბუღინარს. შესდ-
გეს ამ სოფელთაგან ერთი თემი გულეიკა-
რის სახელწოდებით ქორეის უბნის ცენტრით.

2. გულეიკარის თემი მიეწეროს ქუთაისის
მაზრას.

3. ოზურგეთის მაზრის მცხოვრებთ უფლე-
ბა მიეცეს ისარგებლონ გამოყოფილი სოფ-

ლების სახანავ-სათესი მიწით აწ არსებული წე-
სის თანახმად.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან
მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აგვისტოს 13-ს.
დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე გრ. ლორთქიფანიძე.

დეკრეტი

ქ. ხონის თვითმმართველობისათვის
3.000,000 მან. სესხის მიცემისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან
შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულები-
სათვის სამი მილიონი (3.000.000) მანეთი
ქ. ხონის თვითმმართველობისათვის ოთხი
წლის ვადით სამწახევარი (3/4) პროცენტია-
ნი სესხის მისაცემად ჰიდროელექტრონის
სადგურის ასაშენებლად.

2. პირველ (I) მუხლში აღნიშნული თანხა
აუნაზღაურდეს სახელმწიფო ხაზინას ქ. ხო-
ნის თვითმმართველობის მიერ ყოველწლიუ-
რად დღიდან სესხის მიღებისა ვალის თანას-
წორი ნაწილისა და კუთვნილი სარგებლის
გადახდით.

3. ამ დეკრეტით გაცემული სესხი უზრუნ-
ველყოფილ იქნეს ქ. ხონის თვითმმართვე-
ლობის უძრავ მოძრავი ქონებით.

4. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან
მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.
1920 წ. აგვისტოს 16-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე გრ. ლორთქიფანიძე.

დეკრეტი

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის
განკარგულებისათვის 9.000.000 მან.
გადადებისა სასახლის შესაკეთებლად.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან
დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის განკარ-
გულებისათვის ცხრა მილიონი (9.000.000)
მანეთი სასახლის შესაკეთებლად.

2) დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან
მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.
1920 წ. აგვისტოს 16.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე გრ. ლორთქიფანიძე.

დეკრეტი

ქალ. ონის თვითმმართველობისათვის
3.000,000 მან. სესხის მიცემისა.

1. გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან
შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულები-
სათვის სამი მილიონი (3.000.000) მანეთი
ქალ. ონის თვითმმართველობისათვის ექვსი
წლის ვადით სამწახევარი (3/4) პროცენტია-
ნი სესხის მისაცემად.

2. პირველ (I) მუხლში აღნიშნული თანხა
აუნაზღაურდეს სახელმწიფო ხაზინას ქალ.
ონის თვითმმართველობის მიერ ვალის და
კუთვნილი სარგებლის თანასწორი ნაწილის
გადახდით ყოველწლიურად დღიდან სესხის
მიღებისა.

3. ამ დეკრეტით გაცემული სესხი უზრუნ-

ველყოფილ იქნეს ქალაქ ონის თვითმმართვე-
ლობის ყოველი უძრავ-მოძრავი ქონებითა
და შემოსავლით.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან
მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აგვისტოს 13-ს.
დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე გრ. ლორთქიფანიძე.

დეკრეტი

ძველი სახურო-მოდერო ძეგლების
შეკეთება-დაცვისათვის 2.000.000 მან.
გადადებისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან
განათლების მინისტრის განკარგულებისათვის
ორი მილიონი (2.000.000) მანეთი ძველი
სახურო-მოდერო ძეგლების შეკეთება-დაც-
ვისათვის.

2. პირველ (I) მუხლში აღნიშნული ძველი
სახურო-მოდერო ძეგლების შეკეთება-დაც-
ვის საქმე დაევალოს განათლების სამინისტ-
როს, რომელმაც უნდა განახორციელოს იგი
მუზეუმის საბჭოს საშუალებით.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან
მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.
1920 წ. აგვისტოს 13.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.
რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოადგილე
გრ. ლორთქიფანიძე.

დეკრეტი

ჯარისა და ფლოტის სათადარიგო ჯა-
რისკაცთა აღსარიცხავი დავთრების და-
სამზადებლად 1.500.000 მან. გადა-
დებისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან
შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულები-
სათვის ერთი მილიონი ხუთასი ათასი
(1.500.000) მანეთი ჯარისა და ფლოტის
სათადარიგო ჯარისკაცთა აღსარიცხავი დაე-
თრების დასამზადებლად.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მი-
ღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.
1920 წ. აგვისტოს 13-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხ. ალ. ლომთათიძე.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე გრ. ლორთქიფანიძე.

დეკრეტი

საზომ-საწონთა შესამოწმებელი ვადის
შემცირებისა.

1. საზომ-საწონთა შესამოწმებელი ვადა,
ნაცვლად 1916 წლ. კანონით დაწესებულისა,
განისაზღვროს ორი (2) წლით.

2. 1916 წლ. კანონის 1671 მუხლის 35
პარაგრაფი შეიცვალოს შემდეგნაირად: „უკ-
რობა-მრეწველობაში და სხვა ყოველგვარ
სავაჭრო საქმეში (მუხ. 26) სახმარი საზომი
საწონი ყოველ ორ წელიწადში ხელმეორედ
უნდა იქნეს შემოწმებული და დადასტუ-
დადეს დრო, რომელიც თვით საგანზე
უნდა იქნეს აღნიშნული, შემოწმებისა და
დადასტვის ვადაში შედის.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მი-
ღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.
1920 წ. აგვისტოს 13-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე გრ. ლორთქიფანიძე.

დეკრეტი

ყალბი საქრედიტო ქაღალდების დაშ-
ვადების დანაშაულობისათვის პასუხის-
გების ვადიწესებისა.

1. სასჯელთა დებულების 571, 572, 573
და 1 ნაწილის 576 მუხლებით ვადალისწი-
ნებული ბოროტმოქმედებისათვის დადებული
სასჯელის ნაცვლად დაწესებულ იქნეს კა-
ტორალ-უვადო და ვადიანი.

2. „სასჯელთა დებულების“ მე-2 განყოფი-
ლების მე-2 თავის მე-7 ნაწილში აღნიშნული
ბოროტმოქმედებასთან დაკავშირებული საქ-
მეების გამო ბრალდებულისათვის გამოძიები-
სა და სასამართლოსაგან თავის დაღწევის აღ-
საკვეთ ზომად მიღებულ იქნეს აუცილებელი
დაპატიმრება.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან
მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აგვისტოს 13-ს.
დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე გრ. ლორთქიფანიძე.

დეკრეტი

მთავრობის თავმჯდომარის მოადგი-
ლის გარეშე საქმეთა მინისტრის საზ-
ღვა-გარედ წასასვლელად 16.000.000
მან. გადადებისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან
მთავრობის განკარგულებისათვის თექვსმეტი
მილიონი (16.000.000) მანეთი მთავრობის
თავმჯდომარის მოადგილის გარეშე საქმეთა
მინისტრის საზღვარ გარეთ წასასვლელად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან
მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.
1920 წლის აგვისტოს 13-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე გრ. ლორთქიფანიძე.

აბა ოფიციალური განცხადება

რუსულ-ქართული კომისია სამხედრო გარანტიების შე- სახებ

საქართველოსა და რუსეთის სამხედრო გა-
რანტიების შესახებ შერეულ კომისიების
სხდომები დროებით შეწყდა. სხდომების შე-
წყვეტის წინ საქართველოს დელეგაციამ სა-
ქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკისა
და სამხედრო რუსეთის შეიარაღებულ ძალთა
შორის დამოკიდებულების გამოსარკვევად
რუსეთის დელეგაციას შემდეგი განცხადება
გადასცა.

1) საერთაშორისო ნორმების მიხედვით
ომიანობის მდგომარეობას ახასიათებს: ომის
ფორმალური გამოცხადება, სამხედრო მოქ-
მედების დაწყება, იპლომატიური დამოკი-
დებულების შეწყვეტა და ბლოკადები.

2) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბ-
ლიკას და სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ
ძალთა სარდლობას, თავის სოციალურ-პოლი-
ტიკურ მისწრაფებათა და იდეალთა გამო-
ორგანიზულად არ შეეძლო მეგობრულ და
მშვიდობიან განწყობილებაში ყოფილიყვნენ.
დენიკინის, როგორც ძველი მთლიანი და
განუყოფელი რუსეთის იდეოლოგიის და რეა-
ქციისა, მცირე ერთა და მათ შორის საქარ-
თველოს დამორჩილების მომხრის მებოლბეა,
ძველის რუსეთის ნანგრევებზე აღმოცენებულ
დემოკრატიულ და თავისუფალ საქართველო-
სთან უნდა ყოფილიყო და იყო კიდევ წყა-
როთ პერმანენტულ ხასიათის შეტაკებისა.
როგორც საქართველოს, სამხრეთ რუსეთის
შეიარაღებულ ძალებთან დამოკიდებულების
ფაქტიურ ცნობიდან სჩანს გენერალი დენი-

კინი 1919 წ. იანვრის 20 ბრძანებაში სწერდა: იანვრის 16 ქართველები მწვაინე არმიელებთან ერთად რუსების მხრივ საბაბის მიუცემლად გადმოვიდნენ შეტევაზე სოკის მარათულებით. შეტევა დღემდე გრძელდება და ბოლშევიკების დახმარებას წარმოადგენს. ამის გამო შეწყვეტულ იქნას ყოველგვარი დამოკიდებულება საქართველოსთან და გაძევებულ იქნას მათი წარმომადგენლები სამხრეთ რუსეთის ტერიტორიის საზღვრებიდან. შავი ზღვის ფლოტის უბრძანებ გაეშეკროს საქართველოს ნავთსადგურისაკენ და იწყოს სამხედრო მოქმედება. დენიკინმა ამ ბრძანებით გარკვეულად განაკვეთა მისი და საქართველოს შორის წინააღმდეგობა დამოკიდებულება. დენიკინმა ეს თავის დამოკიდებულება გამოხატა საქართველოს საზღვრებთან სამხედრო ძალების დაგროვებით და მოხალისეთა ნაწილების საქართველოს მიმართ განწყობილებით, რაც ფაქტურად ომის გამოცხადებას ნიშნავს. ამ ომის გამოცხადების შემდეგ სოკის ფრონტის მარჯვენა ფრთასთან მდგომ საქართველოს ჯარს შემოუარეს, რასაც შედეგად მოჰყვა ამ ჯარების ტყვეობა. ამასთანავე საქართველოს ზღვის ნაპირების ბლოკადა იყო გამოცხადებული და არც ერთ გემს არ შეეძლო საქართველოს ნავთსადგურებში შემოსვლა. სოკის ოპერაციის დასრულების შემდეგ სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალების მთავარსარდლობამ შეიმუშავა საქართველოს შემოტევის უფრო ფართო გეგმა. ამ მიზნისათვის სოკის ოლქში მობალისეთა მთავარსარდლობამ დიდ ძალებს მოუყარა თავი. მისი მიზანი იყო საქართველოში და აქედან მთელ ამიერკავკასიაში შეჭრა, რომ ამით შეექმნა მტკიცე ბაზა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მომავალ სამხედრო ოპერაციებისათვის. მაგრამ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობამ გაიგო რა მოხალისეთა სარდლობის ასეთი განზრახვა, თავის დროზე მიიღო სათანადო ზომები და ამრიგად 12 გაცხადებულ თავის ჯარების მიმართ გადამსულიყო შეტევაზე მოხალისეთა წინააღმდეგ, რომელიც თავს იყრდა საქართველოს საზღვრებთან. ამრიგად საქართველო დენიკინის ფართო დაპყრობით გეგმას შეიარაღებულ ძალით გადაეღობა წინ. ზემო მოყვანილ ფაქტებიდან, საერთაშორისო უფლების ნორმების თვალსაზრისით შესაძლებელია მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის და სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალების მთავარსარდლობის შორის შექმნა ისეთი დამოკიდებულება, რომელსაც ეწოდება ომი—ყველა მისი დამახასიათებელ თვისებებით. შემდეგ სამხედრო მოქმედებანი ხან ვითარდებოდა და ხან წყნარდებოდა. ინგლისის მთავრობა მიმართავდა ზომებს, რომ აეფუძლებინა ორივე მხარე ჩამოეგდოთ ზავი, მაგრამ ასეთი ცდა ყოველთვის უშედეგოდ რჩებოდა. ესე იგი შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომელსაც პერმანენტული ომი ეწოდება. პერმანენტული ომის განწყობილება, რომელიც 1919 წლის პირველ თვეებიდან დაიწყო, არ დამთავრებულა, როგორც ეს არსებულ მასალებიდან სჩანს, არც ფორმალურ ხელშეკრულების დადებით, არც რომელიმე მხარის სრული დამარცხებით და გრძელდებოდა მანამდე, სანამ მესამე ძალამ, საბჭოთა რუსეთმა, საბოლოოდ არ განადგურა სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალები. ამიტომ საქართველოს დღევანდელი ფაქტობრივი მთელი სამხედრო და საზღვაო სამხედრო ქონება, რომელიც კი შეიქმნა საქართველოში პერმანენტული ომის დროს, ნადავლს წარმოადგენს და როგორც ასეთი იგი საქართველოს გამგებლობაში უნდა დარჩეს. ამასთანავე საქართველოს დღევანდელი სამხედრო ქონების საქართველოს გამგებლობაში დატოვებას მოითხოვს აგრეთვე იმითომ, რომ ეს ქონება არის სამართლიანი კომპენსაცია იმ მატერიალურ ზარალის ასახვად, რომელიც ამ ომის დროს ნახა საქართველომ, როგორც ერთ ერთი ფაქტურად მონაწილემ სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალთა ლიკვიდაციაში. დასასრულ საქართველოს დღევანდელი საქართველოს დღევანდელი ალნიშნოს, რომ მისი თვალსაზრისი სრულიად ეთანხმება მისის 7 ხელშეკრულებას, რომლის შედგენილებაც, რომელთაც შეიტანეს რა ხელშეკრულებაში მუხლი, რომ საქართველოს საბჭოთა რუსეთისათვის გადაეცათ სამხედრო და საზღვაო სამხედრო ქონება მხოლოდ იმ ნაწილებს, რომლებიც ხელშეკრულების ხელის მოწერის დროს და შემდეგ განიარაღებულნი და დაკავებულნი არ ყოფილან, უშუალოდ სახშირ ქონდათ მიღებული საქართველოს რესპუბლიკის და სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლობის შორის არსებული პერმანენტული ომის გადაწყვეტილება და საქართველოს მიერ მოტანილი მსხვერპლი.

საქართველოს დღევანდელი იმ წერილობით განცხადების საბაზისად, რომელიც შეეხებოდა საქართველოს რესპუბლიკასა და მოხალისეთა მთავარსარდლობას შორის არსებულ დამოკიდებულებას, რუსეთის დღევანდელი შემდეგი განცხადება წარადგინა:

1) ომი შეგვიძლია შევიღოთ ისეთ ფაქტურ განწყობილებას, რომელიც გულისხმობს განუწყვეტელ მოქმედებას, მიმართულს მოწინააღმდეგის ნებისჩაქრობის წინააღმდეგ—მისი ცოცხალი ძალის მოსპობის საშუალებით და რომელიც თავისებურ დაღის ასვამს მებრძოლ მხარეთა ყოველგვარ პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოკიდებულებას. ამიტომ სადაც არ არის ომის ასეთი მთავარი დამახასიათებელი ნიშნები იქ არ შეიძლება იყოს ომის ფაქტური არსებობა, როგორც არის ომის ფორმალურად გამოცხადება, ცალკე სამხედრო მოქმედებანი, დიპლომატიურ დამოკიდებულებათა შეწყვეტა და ბლოკადა, შესაძლებელია კიდევ ომი არც კი გამოიწვიოს. ხდება, რომ ორი მხარე, მიუხედავად ომის გამოცხადებისა და დიპლომატიურ დამოკიდებულებათა შეწყვეტისა მაინც ფაქტურად არ იწყებენ, ეს კიდევ არ ნიშნავს ნამდვილ ომს და სამხედრო მოქმედებას, თუკი ეს მოქმედებანი არ იქნება მიმართული მოპარდაპირის ხეობის ჩაქრობისაკენ, ასევე არ ნიშნავს ომს ბლოკადა, რომელიც შეიძლება იყოს ეგრედ წოდებული „მშვიდობიანი“ ამიტომ საქართველოს დღევანდელი მიერ აღნიშნული ნიშნები, რომლებიც თითქოს, ახასიათებენ ომს, არ სცილდება თვით დახმარების ფარგლებს, რომელიც საერთაშორისო სადავო საკითხების უომროდ გადაწყვეტის ერთ-ერთ საშუალებათაგანს წარმოადგენს. ასეთი შეხედულებას არ ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ ხშირად და უმეტეს შემთხვევაში ზემო აღნიშნული მოქმედებანი მართლაც იქცევა ომად, როგორც „ულტიმა-რაიო“ მომწოდებულ კონფლიქტის გადაწყვეტისა.

2) ამჟამა აგრეთვე, რომ საქართველოს დღევანდელი მიერ პირველ რიგში წამოყენებულ ფსიქოლოგიურ მომენტს არ შეუძლიან ითაბაშოს გადაწყვეტი მნიშვნელობა, ვინაიდან უკიდურესი განხეთქილება და ყველა შეხედულებათა და მისწრაფებათა განსხვავება, რომელიც კი სახელმწიფოებრივ ერთეულებს შორის არსებობს, შესაძლებელია ომად არ გადაიქცეს და მშვიდობიანის გზით მოწყობი-გდეს. რაც შეეხება ფაქტურ მასალებს საქართველოს და სამხრეთ რუსეთის მთავარსარდლობის შორის დამოკიდებულების შესახებ, რუსეთის დღევანდელი ამბობს: ამ მასალების გაცნობა გვისურათებს მას, რომ დენიკინის ჯარის მხრივ საქართველოს მიმართ არსებობდა პერმანენტული მუქარა, მაგრამ ეს მუქარა მოისპო არ საქართველოს მიერ-როგორც ამას თვით საქართველოს დღევანდელი აღნიშნავს არამედ მესამე ძალის, საბჭოთა რუსეთის მიერ. ამიტომ მის სახელმწიფოში გადმოსულ მოხალისეთა ნაწილებს საქართველო არ უშურობდა როგორც სამხედრო ტყვეებს, არამედ აკავებდა და ანაირადებდა მათ, როგორც თავისი ნეიტრალიტეტის დაკველი. აქედან ცხადია, რომ საბჭოთა რუსეთის წითელი ჯარის მიერ დამსხვრეულ მოხალისეთა ნაწილებს, რომლებმაც გამოიხატეს საქართველოს საზღვრები, საქართველოს მთავრობა არ უშურობდა და არც შეეძლო შეხედვა მათთვის როგორც მის მიერ დამარცხებულ მტრისათვის, რომლის ქონებაც საქართველოს სამხედრო ნადავლად უნდა ჩაითვალიყო. ეს ქონება შეადგენდა რუსეთის საბჭოთა მთავრობის სამხედრო ნადავლს, რომელიც აღნიშნულ ნაწილებს მოქონდათ და აბარებდნ საქართველოს, ოღონდ კი არ მიეცათ იგი რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ რესპუბლიკის მთავრობისათვის.

3) რუსეთის დღევანდელი ადასტურებს რა ზემო ჩამოთვლილ ფაქტებს, ფიქრობს, რომ საქართველოს შორის არსებულ დამოკიდებულების ფაქტები არ ეთანხმება შერეულ კომისიის მიერ აგვისტოს 11 გამოტანილ რეზოლიუციის 2-3 პუნქტებს, არამედ შეიცავს დამახასიათებელ ნიშნებს იმ განწყობილებისას, რომელიც აღნიშნულ რეზოლიუციის მე-4-ე პუნქტში არის ნაგულისხმევი, ე. ი. შეიარაღებულ ნეიტრალიტეტის განწყობილებას, რომლის მიზანი არის დამოუკიდებლობის დაცვა. ასეთ პირობებში მოხალისეთა ჯარის მთელი სამხედრო მასალა და ქონება საბჭოთა რუსეთის უნდა დაბრუნდებოდ.

მიუხედავად ამისა აღნიშნული დღევანდელი მიდის რა მასივალურ დათმობაზე, თანახმაა შეხედულოს რუსეთის სოციალისტურ-ფედერაციულ საბჭოთა მთავრობის მოთხოვნებზე, მხოლოდ გენ. ერდელის რაზმების ქონების გადაცემით, უშუალოდ, რომ ვინაიდან ეს ქონება გადავიდა საქართველოს ხელში მაშინ, როდესაც მათ შორის არავითარი ომი არ არსებობდა. ასეთი დასკვნა აღნიშნულ ქონების შესახებ არ ეწინააღმდეგება მისის 7 ხელშეკრულებას და ამავე დროს საერთაშორისო უფლების ნორმებიდანაც გამომდინარეობს. შედეგულ კომისიის სხდომაზე დროებითი შეწყდა.

უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები).

ებერტის ბრძანება.

ებერტმა ბრძანება გასცა, რომ სასწრაფო ზომები მიიღონ პრუსიის ნეიტრალიტეტის დასაცავად. მთავრობის ახალი დეკრეტი კრძალავს იარაღისა და სამხედრო მასალის პოლონეთსა და რუსეთში გატანას.

ხალხთა ლიგის სხდომა.

ნოემბრის 16-ისათვის ენევეში დანიშნული ხალხთა ლიგის სხდომა, რომელზედც განიხილავენ სხვა და სხვა საკითხებს, მათ შორის განიხილავენ ხალხთა ლიგის შემადგენლობაში ძველი მტრების დაშვების საკითხსაც. იმ სახელმწიფოებმა, რომლებმაც ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს, სამ სამი დეკლარაცია უნდა გაეზავნათ. ყოველ სახელმწიფოს თითო ხმის უფლება ექნება.

ბრიუნეს განცხადება.

რიეტერის სააგენტოს ცნობით ბელგიის პალატის პრეზიდენტმა ბრიუნემ განაცხადა საფრანგეთ ბელგიის კავშირი აუცილებელია. მშვენიერი რაინდული საფრანგეთი, სიქვა ბრიუნემ, უნდა შეიქმნეს ჩვენ მოკავშირეთ იმიტომ, რომ ჩვენ მასთან დაკავშირებული ართ საერთო ინტერესებით. მას შემდეგ, რაც ასეთი კავშირი დაიდება, ჩვენ შეძლება გვიქნება დამოკიდებულება დავიკაოთ პოლიანდისათვის.

შვედეთის შტატები და პოლონეთი.

„ორიან ჯნე“ იუწყება: შვედეთის შტატები დასთანხმდებიან მისცენ პოლონეთს 50 მილ. დოლარი სესხის სახით ამ ფულით პოლონეთმა ამერიკაში მასალები უნდა შეიძინოს.

ფრანგული პრესა ბოლშევიკების შესახებ.

ფრანგული პრესა აღნიშნავს: ბოლშევიკებს პოლონეთთან ზავი არ უნდათ. წითელ არმიელთა შეტევა გრძელდება, მაგრამ პოლონეთის მთავრობა არ ეცემა სულით და ჯარის ნაწილობრივ რეფორმასაც კი ახდენს. ზურგს უკან სამსახური ფრანგ აფიცრებს მიენდო.

გენ. ვალერი პოლონეთის შესახებ.

გენ. ვალერი პოლონეთის ფრონტიდან ვოლონტარობების წასვლის შემდეგ მდგომარეობის გაუჭარბებობას აღნიშნავს.

ლოლიდ ჯორჯი და კამენევი.

ლოლიდ ჯორჯიმ წერილი გაუგზავნა კამენევს სადაც იგი აღნიშნავს, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობას ახრადაც არ მოსვლია განგელის ცნობა ან რაიმე დახმარების აღმოჩენა.

ვენეზუელისის მოკვლის განზრახვა.

ვენეზუელისზე თავდასხმელნი, რომელთაც სდომებიათ პრემიერის მოკვლა დაუქრიათ და დაუპატიმრებიათ. ბოროტ-გამზრახველნი აღმოჩნდნენ ოფიცრები: კირიაკუ და ცირენიცი. ვენეზუელისი ამ ჯამად დაჭრილია. ხუთ ტყვიიდან ვენეზუელის მოხვედრია ორი ტყვია ერთი ზურგში—მეორე მხრებში. კრილობები საშიში არ აღმოჩნენია.

უზანხა აჯანყება ყუბანში.

როსტოვიდან ჩამოსულნი გადმოგვიყვენ, რომ ყუბანში ყაზახთა აჯანყება მომხდარა. აჯანყებულნი ოცი ყაზახთა სოფლები (სტანიცა) აჯანყებულნი ძლიერდებიან.

რუსთა ლტოლვილები ოსმალეთში.

რუსთა ლტოლვილები ოსმალეთიდან გადაყვანილი იქნებიან ყირიმში და კუნძულ ლემნასზე. ლტოლვილთა მდგომარეობა კრიტიკულია.

ტროცკის განცხადება.

აგვისტოს 18 მოსკოვში ტროცკის მოხსენე-

ბა გაუქმებია პოლონეთის ფრონტის და გრანგელის არმიის მოქმედების შესახებ. ტროცკის აზრით საბჭოთა მთავრობას ორივე ფრონტისკენ საკმაო გარანტია მოეპოვება რომ თავიდან ყოველივე საფრთხე აიცილიოს. პოლონეთის ფრონტი საბჭოთა ჯარებს ორი ცენტრით აქვთ დაყოფილი. დიპლომატიური ეს მინსკში, ხოლო სამხედრო-გარეშაში. საზავო მოლაპარაკება მინსკში კარგა მიდის. რაც შეეხება ვრანგელს, იგი ამ ჯამად მთავარ ყურადღებას იპყრობს, მაგრამ მისი ძალა საშიში არ არის საბჭოთა რუსეთისთვის.

საბჭოთა რუსეთი და იაპონია.

გაზეთი „დეილი გვერდლი“ ათავსებს საბჭოთა მთავრობის პასუხის ტექსტს რომელიც გამოგზავნილი იყო ინგლისის მთავრობის წინადადებას გამო რუსეთის სახელმწიფო განაპირა ქვეყნების ზავის ჩამოგდებას შესახებ. საბჭოთა მთავრობა სრული კმაყოფილებით შეგუბებია ინგლისის წინადადებას. საბჭოთა მთავრობა ატყობინებს დიდ ბრიტანეთს რომ მან უკვე ზავი შეკრა საქართველოსთან, ესტონეთთან და ლიტვისთან. ამ ჯამად საზავო მოლაპარაკება სწარმოებს ლიტვისთან და ფინლანდიასთან. რაც შეეხება პოლონეთს, მისი საკითხიც უშუალოდ მალე გადაწყდება.

ახალი აზრები

ეროვნათა კავშირი.

ეროვნათა კავშირის კომიტეტმა აღძრა მომარაგების სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა, რათა იგი კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ გორის ეროვნის დაეხმაროს ან ფულით და ან ხორბლით.

ჯანმრთელობის დეპარტამენტი.

მრთელობის დეპარტამენტმა ბათუმს გაგზავნა ბათუმის სანიტარულ და ჰიგიენურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად პროფესორი შაროკოროვოვი და გენ. ორბელიანი. ამასთანავე გაიგზავნა დევიფენქციისათვის საკურო წამლები და მოწყობილებანი.

სახელმწიფო ბანკში.

სახელმწიფო ბანკის მოსამსახურეთა საერთო კრებამ აირჩია 3 პირისაგან შემდგარი კომიტეტი. კომიტეტმა დაადგინა შევიდეს სახელმწიფო დაწესებულების კავშირში.

პურის კანტონი.

ქალაქის თვითმმართველობისთან არსებულმა პურის ბიურომ განსწავლისტოს 20—პურის კანტონები დეპერტირის ბაზარსა და ტფილისის რკინის გზის სადგურზე. ქალაქის სასუსათო განყოფილების ცნობით მიუხედავად იმისა, რომ პურის კანტონებმა დიდი ხანი არ არის რაც მუშაობა დაიწყეს და ხორბალიც ბაზარზე ცოტა შემოვიდა, მათი წყალბოლი პურის ფასი თანდათან ძარს იწვეს. მავალითად საუკეთესო ხორბალი ლირა 1750 მან. და ახლა ლირს 1500—1600 მან. პურის კანტონები მთელის თავის ძალ ღონით ებრძვიან ხორბლის გაძვირებას. კანტონების ავტორიტეტი იმდენად დიდაა, რომ მის გადაწყვეტილებას არა მარტო განყოფილებები, არამედ მყიდველებიც ემორჩილებიან.

თეთრი ქეჩი.

ფოთში მომარაგების სამინისტროს სახელზე თეთრი ქეჩი დატვირთული გემი მოვიდა. ქეჩის რაოდენობა 110—120,000 ფუთს უდრის. აგვისტოს 11 დაიწყო გემის გადმოტვირთვა.

ყუბანის გადაგდება.

2 მარტს ამა წელსა გუჯასოვის ქუჩაზედ, პირველ სამილიციო უბანში, მიხეილ კობალაიამ, რომანიულ ნიადაგზედ, ყუბანარ ესროლა სახლში თავის ცოლს და პავლე მკვანაძეს, რომლის დროსაც მოკლულ იქნა სახლში მყოფი 16 წლის ქალი ცვეტიაკოვისა და დაჭრილი ცოლი მისი და პავლე მკვანაძე. სროლის შემდეგ კობალაია მიიშალა და მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ზომები იყო მიღებული მის აღმოსაჩენად მაინც ვერავითარ მიზანს ვერ მიახწია. 14 ამა აგვისტოს კომისარმა მე 2 სამილიციო უბნისაშ დავით კორშიამ და მისმა თანაშემწე აკობარდიამ მიიღეს ცნობა, რომ კობალაია ჩამოსულა ტფილისში იმ განზრახვით, რომ მან მოჰკლას მკვანაძე-სასწრაფოდ იყო მიღებული ყოველივე ზომები კობალაიას აღმოსაჩენათ და შესაჭრობათ. ცდამ უშედეგოდ არ ჩაიარა, ალექსანდროვის ბაღში იყო შეტყობილი კობალაია, რომელიც გულწრფელად გამოტყდა, როგორც ყუბანის სროლაში აგრეთვე იმ განზრახვაში, რომ ის ჩამოვიდა ტფილისში მკვანაძეს მოსაკლელათ. კობალაიას ზედ აღმოაჩნდა სხვის სახელზედ პიროვნების მოწმობა და რეფოლერი. დამნაშავე დაპატიმრებულია საპყრობილეში.

მდინარე ენკერი.

დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ინ. სმოლნიკოვი ტფილისის დაბრუნდა. მიწათ- მოქმედების სამინისტროსადმი წარდგენილ მოხსენებაში სმოლნიკოვი აღნიშნავს, რომ იმ საქმეთა რიცხვს, რომლებსაც სახელმწი- ფოებრივი მნიშვნელობა აქვთ და რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს, უნდა მივაკუთვნოთ მდინარე ენკერის მიმდინარე-ობის ღონება, ვინაიდან ეს მდინარე თავის ნაპირებზე გადავლით ზუგდიდის მახრას აუ- არებელ ხარალს აყენებს. თუ ახლავე არ იქ- ნა მიღებული ზომები მიმდინარეობის შესას- წორებლად, 5-6 წლის შემდეგ მთელი სიე- რცე, რომელიც სოფ. შამგორს, კობახოს, კო- კის და სამხრეთით მდინარე ყუბამდე მდებარე ადგილებზე შეიცავს, ერთ დიდ არხივლე- ვად გადაიტყვევ, რაც მეტად დიდ საშიშრო- ებას წარმოადგენს სოფლის მეურნეობისათ- ვის. გარდა ამისა მდინარე ინკურს ელექტ- რონის დიდი ენერჯია აქვს. მიმდინარეობის ერთი ვერსის ძალა 12.000 ცხენის ძალას უდრის. ეს ძალა საკმარისია, რომ 14 წყვი- ლი მატარებელი აამუშაოს დღე-ღამის განმავ- ლობაში გორსა და ყვარისას შორის. მდინარე ენკურის მთელი ძალა კი საკმარისია, რომ მოძრაობაში მოაყვანოს საქართველოს რკი- ნის გზებზე მყოფი ყველა მატარებელი. მთე- ლი ეს ენერჯია, რომელიც ამ ქამად კულტუ- რულ მამულებს ანადგურებს, სრულიად დაი- კარგება, თუ შესაფერი ზომები დროზე არ იქნება მიღებული ამისათვის კი საჭიროა და- უყოვნებლივ გაკეთდეს წყლის შესაკავებელი ნაშენი და სამი არხი ზუგდიდისა, საშურზა- ყანისა და ნაბაქვისა. ნაშენის და არხების გაკეთება 80 მილ. მან. დაჯდება. ვინაიდან ამ მუშაობაში გარდა ადგილობრივ მცხოვრე- ბლებისა ს. მურზაყანოს და ზუგდიდის ერო- ბაც და აგრეთვე მიწათ-მოქმედების სამინის- ტროსაც არის დანერგებული, ამიტომ მო- კლე დროში მოხდება დანერგებული სა- ზოგადობათა წარმომადგენლების თათბირი, რომლის მიზანი იქნება გამორკვევა იმ საკი- თისა, თუ რა სახით მიიღებს მონაწილეო- ბას ამ მუშაობაში ყოველი ამ დანერგე- ბულ საზოგადოებათაგანი.

ბ ა თ ო შ ი

ბ. ჩხიკვიშვილის დაბრუნება.
ბათუმის ოლქის განსაკუთრებული კომი- სარა ბ. ჩხიკვიშვილი დაბრუნდა ართვინი- დან და თავის მოვალეობის აღსრულებას შე- უდგა.

ვ. გეგეჭკორის ჩამოსვლა.
ავგუსტოს 18 ხულოდან ბათუმში ჩამოვი- და გარეშე საქმეთა მინისტრი ვ. გეგეჭკორი, ამისთანავე ჩამოვიდნენ: მომარაგების მინისტ- რის ამხანაგი ჭავჭავაძე, გარეშე საქ. მინ. ამხანაგი საბახტარაშვილი, სახალხო გვარ- დის მთავარი შტაბის უფროსი ვ. ჯუღელი და სხ. საღამოს 5 საათ. ვ. გეგეჭკორი ინ- გლისის სამხედრო გემით „სპელითა“ ბათომი- დან კონსტანტინოპოლში გაემგზავრა. საზ- ლვარ გარეთ გაემგზავრენ აგრეთვე: მომარა- გების მინისტრის ამხანაგი ჭავჭავაძე და დ- ლამაშაძე. გეგეჭკორის პარტისციპულად გე- მის გასვლისას სანაპირო ზარბაზნებიდან რა- მოდენიჯერმე გაისროლეს.

რკინის გზაზე.

რკ. გზის ახალი ტარიფი.
ტარიფი გადიდებულია მხოლოდ ადგილობ- რივ მიმოსვლაზე. კახეთის რკ. გზაზე გადა- სახადის ფასი, რომელიც 100 ჯერ იყო გა- დიდებული, გადიდებულია 150 ჯერ. გადა- სახადი ხილის გადატანაზე, რომელიც გადი- დებული იყო 150 ჯერ გადიდებულია 180 ჯერ.

ფასები, რომელიც არსებობდა 20 ავგის- ტომდე მგზავრების გადაყვან-გადმოყვანაზე, წარმოადგენდა 60 ჯერ გადიდებულს 1917 წლ. ივნისში არსებულ ფასებთან შედარებით.

რკინის გზის სამმართველოს შუამ- დგომლობა.
რკინის გზის სამმართველომ აღძრა შუამ- დგომლობა, მთავრობის წინაშე, რათა დაჩ- ქაროს ძირულაში მყოფ სააქციონერო საზო- გადობეა „შრომისაგან“ ცეცხლშეუპოვარი აჭურის ქარხნის შექმნა.

სამტრედიის ქალაქის თვითმმართველობა შუამდგომლობს, რომ საქონლისა და სამგზავ- რო მატარებლის ბილეთებზე და გადაზიდ-ვის ტარიფის გადიდებასთან ერთად გადიდ-

ბულ იქმნას სამტრედიის სასარგებლოთ სა- ფუიო გადასახადიც.

განახლდა ართვინთან საფოსტო დამოკი- დებულება. დეპეშების გზაზე ტელეფონის ბოძების აღდგენის შემდეგ განახლდება.

სასარიფო კალსაში.

ჯამაგირების მომატების ახალი ნუსხა
მიღებული სატარიფო პალატის პრეზიდიუმის მიერ ამა წლის ავგუსტოს 17-ს.

არსებული ჯამაგირი.	მომატება.	მომატებით	საშუალო ჯამაგირი.
2000	2000	4000	4000
2050	2050	4100	4100
2100	2100	4200	4200
2150	2150	4300	4300
2200	2200	4400	4400
2250	2250	4500	4500
2300	2300	4600	4600
2350	2350	4700	4700
2400	2400	4800	4800
2450	2450	4900	4900
2500	2500	5000	5000
2550	2550	5100	5100
2600	2600	5200	5200
2650	2650	5300	5300
2700	2700	5400	5400
2750	2750	5500	5500
2800	2800	5600	5600
2850	2850	5700	5700
2900	2900	5800	5800
2950	2950	5900	5900
3000	3000	6000	6000
3050	3050	6100	6100
3100	3100	6200	6200
3150	3150	6300	6300
3200	3200	6400	6400
3250	3250	6500	6500
3300	3300	6600	6600
3350	3350	6700	6700
3400	3400	6800	6800
3450	3450	6900	6900
3500	3500	7000	7000
3550	3550	7100	7100
3600	3600	7200	7200
3650	3650	7300	7300
3700	3700	7400	7400
3750	3750	7500	7500
3800	3800	7600	7600
3850	3850	7700	7700
3900	3900	7800	7800
3950	3950	7900	7900
4000	4000	8000	8000
4050	4050	8100	8100
4100	4100	8200	8200
4150	4150	8300	8300
4200	4200	8400	8400
4250	4250	8500	8500
4300	4300	8600	8600
4350	4350	8700	8700
4400	4400	8800	8800
4450	4450	8900	8900
4500	4500	9000	9000
4550	4550	9100	9100
4600	4600	9200	9200
4650	4650	9300	9300
4700	4700	9400	9400
4750	4750	9500	9500
4800	4800	9600	9600
4850	4850	9700	9700
4900	4900	9800	9800
4950	4950	9900	9900
5000	5000	10000	10000
5050	5050	10100	10100
5100	5100	10200	10200
5150	5150	10300	10300
5200	5200	10400	10400
5250	5250	10500	10500
5300	5300	10600	10600
5350	5350	10700	10700
5400	5400	10800	10800
5450	5450	10900	10900
5500	5500	11000	11000
5550	5550	11100	11100
5600	5600	11200	11200

მუშათა ცხოვრება

მუშათა მაგიდა.
მუშათა მაგიდამ გაგზავნა ბორჯომს მუშა-თა მაგიდისათვის 500 ფ. ქერი და 500 ფ. კანადის ფეხვილი.

ვინაიდან მუშათა მაგიდამ ქალაქის სასურ-სათო განყოფილებას ახლა მეტი პურის გა- მოცობა მიანდო, ამიტომ ქალაქის თვითმარ- თველობამ იჯარით აიღო ამერიკის კომიტე- ტისაგან ფურნე, სადაც ყოველ დღე 350 ფ. გამოცხვება.

მუშათა ორგანიზაციები ბათუმში.
ტფილისის პროფესიონალურ კავშირთა თავმჯდომარემ გრ. ხელაძემ დეპ. სააგ. თა- ნამშრომელს განუცხადა: ბათომიდან ინგლი- სის მთავრობის გასვლის შემდეგ მუშათა გა- ერთიანება პროფესიონალურ კავშირებში ჩქა-

რი ნაბიჯით წავიდა წინ და დღეს უკვე იქ 22 პროფესიონალური კავშირია, რომელიც აერთიანებს 7.500 მუშას. ჯერ-ჯერობით ხელმძღვანელ ორგანოთ ითვლება პროფესიო- ნალურ კავშირების დროებითი საბჭო. აღმა- სრულებულ ბიუროს თავჯდომარედ არის გრ. აიოლო. მოკლე ხანში მოხდება ახალი საბ- ქოს არჩევნები ტფილისის მგზავსად. საგან- გებო კომისარმა მუშათა საქორეობისათვის მარინის პროსპექტზე 20 ოთახიან სახლს რე- კვიზიცია უწყა.

დეკემბერი

(საქართველოს დეკემბრის სააგენტო).

ლიონის ცნობები.
პოლონეთის ჯარი.
პოლონეთის ჯარი იბრძვის წარმატებით სამხრეთით ლიუკოვის (?) რაიონში პოლონე- თის ჯარმა სავრძობლად წინ წაიწია. ვარ- შავაში პირდაპირი საფრთხისაგან უზრუნველ- ყოფილია. პოლონელთა მოხერხებულ კონტრ- შეტევამ ნარევის ჩრდილოეთით და ტრაუ- დენსაის მდინარეებში კრიტიკულ მდგომარე-ობაში ჩააყენა და იკითხის დერეფნამდე მიღწეული საბჭოთა ჯარი.

საფრანგეთის ნოტა შეერთებულ შტატების მიმართ.

ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობით, რომელიც ფრანგულ პრესაში არის დაბეჭდილი, ამერიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარ- მომადგენელმა კოლბომ განაცხადა: მილე- რანის ნოტამ ამერიკის მთავრობისადმი დაამ- ტიცა სრული თანხმობა ამერიკისა და საფრანგეთის შორის პოლონეთ რუსეთის სა- კითხში. ჩვენ ქდა საფრანგეთის მთავრობას ერთი და იგივე მიზანი გვაქვს განაცხა კოლ- ბომ. რაც შეეხება საფრანგეთის მთავრობის მიერ გენ. ვრანგელის ცნობას, მე ვფიქრობ, რომ ის უთანხმოება, რომელიც ვაშინგტონსა და პარიზს შორის არსებობს, არ არის შე- დევი იმ უთანხმოებისა, რომელიც შეიძლება დაიბადოს მიზნის მიღწევაში, არამედ იგი აიხსნება იმ პოლიტიკის განსხვავებით, რომელსაც ჩვენ ბალშევიკების წინააღმდეგ ვა- წარმოებთ. საკმარისია ვავითვალისწინოთ, დაუმტა კოლბომ, ის წინააღმდეგობა, რომელიც წითლების პოლიტიკასა და მათ გან- ცხადებათა შორის არსებობს, რომ დავიწა- ხოთ ახალი დამატაციებელი საბუთი იმისა, რომ მოსკოვის თეორიები სრულიად არ ეთან- ხმებიან მოსკოვის მოქმედებას.

ბენე ბელგრადში.

საფრანგეთის პრესა ბეჭდავს ბენეს განც- ხადებას, რომელიც ამტკიცებს, რომ ჩეხო- სლოვაკიის რესპუბლიკა და სერბეთი ეპირ- ველესად ყოვლისა დანერგებულია იმაში. რომ ს. ეერმენის (დამახინჯებული) იქნეს შესრულებული. იმ მოლაპარაკებაში, რომე- ლიც ბელგრადში სწარმოებდა ისინი საზავო კონფერენციის დირექტივებით ხელმძღვანე- ლობდნენ.

მილიციაში

— ისააკ იაკობის ძე კალმანოვსკიმ ოქროს განმეულობის მალაზის მეპატრონემ, რომლის მალაზია რუსთაველის პროსპექტზე არის მო- თავსებული სისხლის სამართლის მილ. განუ- ცხადა, რომ მან ერთი გირვანჯა ოქრო გა- დასახმელად სხვა და სხვა ნივთისთვის მისცა მესაათე ქურჭიშვილს. ქურჭიშვილს მიიღო კალმანოვსკის ოქრო. კვირა ნახევრის შემ- დეგ, როდესაც კალმანოვსკი მისულა ქურჭი- შვილთან თავის დაკვეთილ საგნების წამოსა- ლებად—ქურჭიშვილს განუცხადებინა, რომ მისი ოქრო სახლში წაიღო გადასხმელად. მისმა ხელოსანმა საყარაულო ბათალიონის ზემდგემა ლანდიამ და მისთვის ეს ოქრო ჯი- ბიდან ამოეღო. იმაზე კალმანოვსკის მა- შინვე უცნობებია სისხლის სამართ. მილიცი- ისთვის, რომ ეს საქმე გამოეძიათ. სისხლის სამართლის მილიციამ მაშინვე მიიღო ენერ- გიული ზომები და ზემდგევი ლანდია შეიპყ- რო. გამოძიებიდან აღმოჩნდა, რომ ლანდია- სთვის ოქრო ჯიბიდან კი არ ამოეცლიათ, არამედ ქურჭიშვილთან იგი კავშირში ყოფი- ლა. ქურჭიშვილს საუკეთესო ოქროს ნაწი- ლები ამოეღო და დანარჩენი ნაწილი გადაე- ცა ლანდიასთვის. ლანდიას კი ამ ოქროს გა- დასახმელად სლომეობდა იმ მოსაზრებით, რომ ვითომც მისთვის ჯიბიდან ამოეცლიათ. სის- ხლის სამართლის მილიციამ ყველაფერი რიგ- ზე გამოარკვია და დამნაშავენი დააპატიმრა და პასუხისმგებლობა მისცა.

— 18 ავგუსტოს, მესაათე ზონსკი ისააკის

ქემ აიზენბერგმა სისხლის სამართ. მილიცია- ში განაცხადა, რომ მისთან ავგუსტოს 17, მის მალაზიაში შევიდნენ ორი უცნობა ქალი, მათ შეეტანათ წყვილი საყურე და ერთი ბეჭედი, რომელიც დაეფასებინათ 12,000 მ. აიზენბერგს ენახა რა ნივთები, ეთქვა, რომ 10,000 მან. მეტი არა ღირსო. მესაათეს შე- ემჩინა, რომ ეს ნივთები შექველია მოპარუ- ლი უნდა ყოფილიყო. აიზენბერგს უნდოდა როგორმე მილიციისთვის ეცნობებინა, რომ ქალები დაეჭირათ და მათი ვინაობა გამოე- რკვიათ. ქალებს შეეტყუათ თუ არა აიზენბერ- გის განზრახვა ქალებს დაეტოვებინათ ნივ- თები მალაზიაში და მიმალულიყვნენ. აიზენ- ბერგმა ყოველივე ეს აცნობა სისხლ. სამართ. მილიციას. სისხლ. სამართლ. მილიციამ იმ დროსვე აღმოაჩინა, რომ ის ქალები, რომელ- ნიც აიზენბერგთან შევიდნენ ყოფილან: ერთი ელისაბედ ვასილჩიკოვა გოგოლის ქუჩაზე მცხოვრები, მეორე ნადეჟდა დოლბანოვა, ორივენი თავის დანაშაულზე გამოტყდნენ. მო- პარული ნივთები ყოფილა ექიმ ქალის ჩერ- ნელის, რომელიც ამ ქამად ბათომში იმყო- ფება. დამნაშავენი მილიციამ დააპატიმრა- ხოლო აღნიშნული ნივთები შენახულია პატ- რონის გადასაცემად.

ზ ა ნ ც ხ ა დ ე ზ ა ნ ი

- დაიკარგა მეტრიკული მოწმობა ნიკოლოზ ივანეს ძე ბერაძის სახელზე, მიღებული სინო- დალურ კანტორიდან. გაუქმებულად ჩაითვა- ლოს. 2324 3-2
- დაიკარგა სამხედრო გამწვევ უბანზე მიწე- რილობის მოწმობა № 2862 ტერენიკ კარაშე- ტის ძე ჩიტრიანცის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2325 3-2
- დაიკარგა სამხედრო სამსახურიდან თავის- უფლების მოწმობა გლახო დავითის ძე ჯეი- რანაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხე- დრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2326 3-2
- დაიკარგა ატესტატი, მიღებული 2 კომერ- ციულ სასწავლებლიდან და მეტრიკული მო- წმობა, მიღებული სინოდალურ კანტორიდან ივანე ოტის ძე ურუშაძის სახელზე, გაუქმე- ბულად ჩაითვალოს. 2328 3-2
- დაიკარგა ლეგან ზაქარაის ძე დარბაისელის სახელზე რეგიისტრაციის მოწმობა № 3330 მიღებული ქალაქის მართველობიდან. გაუქმ- ებულად ჩაითვალოს. 2333 3-2
- დაიკარგა საბინაო დავთარი მართა ახვერ- დოვის სახელზე მდებარე სახლ. შირაქის შეს- ახვევი № 22. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2334 3-2
- დაიკარგა ვიდიანი პასპორტი № 58744 მიცემული ტფ. მილიციის უფროსისგან 16 ივნის 1920 წ. ანა ივანეს ასული კრისოვას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2331 3-2
- დაიკარგა პასპორტი უვადო მიცემული პოლიცემისტრის კანცელარიიდან, მოწმობა მიღებული სამხედრო უფროსისგან სევერიან მიხეილის ძე აბზინაძის სახელზე. გაუქმებუ- ლად ჩაითვალოს. 2332 3-2
- დაიკარგა საბინაო დავთარი კრანოგორს- კის ქუჩა № 35 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის დავით ოხიპოვს. 2336 3-2
- დაიკარგა პასპორტი გერასიმე ივანეს ძე თეთრაძის სახელზე, მიღებული გომრეთის ზოფლის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩა- ითვალოს. 2337 3-2
- დაიკარგა საბინაო დავთარი 1919 წლის თათრის შესახვევი № 24 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის მამედ გუსენ ალასკარ ოღლის. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2340 3-2
- დაიკარგა ერთი წლის ბილეთი № 155, მიღებული ჩაიბოთის თემის გამგეობიდან, სა- მხედრო სამსახურის ნუსხა და მეტრიკული ამონაწერი სილოვონ პატარაიას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2341 3-2
- დაიკარგა პასპორტი № 213 აგრეფინა სპირიდონის ასული აბულაძის სახელზე, მილ- ებული შორაპნის მახრის ერობის გამგეობი- დან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2340 3-3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. პოლიციისტივის სამმართველოდან და სხვა საჭირო საბუთები სერგეი მოსეს ძე კარაპეტოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2395 3-3

დაიკარგა მოწმობა № 246 კიარიმ ალიევის სახელზე, მიღებული მუსულმანთა ნაციონალურ საბჭოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2310 3-3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ახალციხის ქალაქის გამგეობიდან და მეტრიკული ამონაწერი სტეფანე პეტროსის ძე ანჯაფარიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2302 3-2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან კონსტანტინე მიხეილის ძე გამაზიანცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2311 3-2

დაიკარგა სარეგისტრაციო მოწმობა გაცემული ტფილისის ქალ. გამგ. სამხედრო კანცელარიის მიერ 1901 წ. და პიროვნების მოწმობა გაცემული საგურამოს თემის მიერ 7/VII 1920 წ. დიმიტრი ალექსანდრეს ძე ჯალიაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2321 3-2

დაიკარგა ფოთის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის დამთავრების ატესტატი № 246 გრიგოლ მარგალიტაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2304 3-2

დაიკარგა აღმასრულებელ ფურცელი გაცემული რაჭის მომრიგებელ მოსამართლისგან 1919 წ. № 152 ნიკოლოზ გნეტარის ძე ჯაფარიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2305 3-2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ბორის (რაქის მაზრა) საზოგადოებიდან, მეტრიკული ამონაწერი, მიღებული ს. მრავალძლის ეკლესიიდან და სამსახურის მოწმობა, მიღებული ტფილ. მთავარ პურის საცხოვრიდან. სიმონ იოსების ძე სხირტლაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2247 3-3

დაიკარგა: 1) ნუსხა, 2) საცხოვრებელი ბილეთი, 3) მოწოდება და 4) ნოტარიული მონდობილება, ბესარიონ გიორგის ძე ჩხეიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2313 3-3

დაიკარგა მოწმობა № 440 მარიამ ესტატეს ასული პოლქვაძის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან გაუქმებულად ჩაითვალოს. 2315 3-3

ქალ. ტფილისის მე-12 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ანა ივანეს ასულის არაქელოვის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავიანთი უფლება არაქელოვის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 2291 3-3

დაიკარგა საქ.-დემოკრატიული პარტიის წევრობის ბარათი, პასპორტი და სარეგისტრაციო ბარათი № 104, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან იაკოვ არშაკის ძე ოვანესოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2307 3-3

დაიკარგა მოწმობები, მიღებული სახელმწიფო სტამბიდან, ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან და რუსების ნაციონალურ საბჭოდან ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე რენკოვნიკოს სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2323 3-3

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 21 ივლისს 1920 წ. დამტკიცდა 6 ივლისს 1920 წელს შესრულებული ნასყიდობა მიცემული გერასიმე აღაშის ძე ქუთაისის მიერ, მისე არსენის ძე ტრაპიძეზე ნაკვეთი მიწისა მდებარე ქ. ქუთაისში სალონიის აგარაკში № 176 შენობებით ზომით 108 1/2 კვ. საე. 30000 მან. 2303 1-1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. პოლიციისტივის სამმართველოდან და სხვა საჭირო საბუთები სერგეი მოსეს ძე კარაპეტოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2346 3-1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, № 987 რკინის გზის სტამბის ლიტოგრაფიიდან მიღებული, სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების და სრულიად თავისუფლების მოწმობები, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან ალექსანდრე მიხეილის ძე დანდუროვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2347 3-1

დაიკარგა პასპორტი კოლა ანდრას ძე კობახიძის სახელზე, მიღებული ს. ნიფარწმიდის (რაქის მაზრა) თემიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2350 3-1

დაიკარგა მოწმობა № 402 სერგო ალექსანდრეს ძე ალიბანოვის სახელზე, მიღებული ქ. მოსკოვის კომისრისგან 1918 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2351 3-1

დაიკარგა პასპორტი № 850 ალექსანდრე დიმიტრის ძე თუხარელის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2352 3-1

დაიკარგა პირადობის მოწმობა შტ. კავ. ვახტანგ რაუდენის ძე მაღალაშვილის სახელზე, მიღებული კავკასიის მესამე სანაპირო პოლიციიდან. და სხვა საჭირო საბუთები. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2355 3-1

დაიკარგა სამხედრო სამსახურიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული ქუთ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. ალექსანდრე დალაქიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2357 3-1

დაიკარგა პასპორტი სერგო ოსიპის ძე მარტიროსიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2358 3-1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ანდრია ზაქარიას ძე ასლამაშაშვილის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსის მიერ 1918 წ. მარტის 17-ს რეესტრით 495. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2359 3-1

დაიკარგა სოხუმის ორ წლიანი პედაგოგიური კურსების დამთავრების და მასწავლებლის წოდების მოწმობა, ვარლამ კონსტანტინეს ძე გეგეჭკორის სახელზე, მიღებული სოხუმის ოლქის ინსპექციის მეთვალყურისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2339 3-1

დაიკარგა ოჯახის მარჩენლობის მოწმობა № 11 ლუკა ალექსანდრის ძე შველიძის სახელზე მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2345 3-1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ქუთაისის ნოტარიუსი არქივის საქმეთა სიმტკიცის ნუსხაში ჩაინიშნა სიმტკიცის მოწმობა, შედგენილი 8 ივნისს 1920 წ. ნოტარიუსისგან ქალაქ ქუთაისის 1920 წელს ფლობლობით უძრავ მამულის შეძენის თაობაზე მიხეილ ომანის ძე ჩინჩლაძის მიერ, რომელიც ექუთავნოდა მცხოვრებს ქალაქ ქუთაისში იმავე მდებარე ქალაქ ქუთაისში ბალახვანის ქუჩაზე და შესდგება ნაკვეთი მიწისაგან შენობებით ზომით 80 I 2 1/2 ს. ა. 2303 1-1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 3 მარამობისთვის 1920 წ. 8 ივნისს 1920 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული მიხეილ ომანის ძე ჩინჩლაძის მიერ ისხაკა შალომის ძე გაგულაშვილზე ნაკვეთი მიწისა მდებარე ქ. ქუთაისში, ბალახვანის ქუჩაზე შენობებით ზომით 80 კ. ს. და 1/2 ს. ს. 100000 მანეთით. 2303 1-1

ქალ. ტფილისის მე-12 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ბახუა ივანე დიმიტრი ბეჭანის ძე მელაის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება მელაის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 2290 3-3

შულავრის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ სარქის საგათელის ძის სარქისოვის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება სარქისოვის ქონებაზე, თანხმად 1241 მუხ. ძალი-სა 1 ნაწ. 10 ტ. (კრებული მოქ. საქ. გამოც. 1887 წ.). 556 1-1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 26 ივლისს 1920 წ. დამტკიცდა 11 ივლისს 1920 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული იასონ გრიგოლის ძე, ვედუქსი გიორგის ასული, ვასილ, გიორგი, ბაბილინა, ოლა და ნინო გრიგორის ძეთ კლდიაშვილების მიერ იაკობ ფილხაზის ძე და სიმონ იაკობის ძე ჩოკვაშვილებზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში მიხაილოვის ქუჩაზე შენობით ზომით 11 32 10 კ. ს. 600,000 მანეთად. 2303 1-1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 27 ივლისს 1920 წ. დამტკიცდა 1 ივნისს 1920 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული იოსებ პეტრეს ძე ჩარეჭოვის მიერ ალექსანდრე კახიძის ძე შჩეპკოვსკზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში ფრანგების ქუჩაზე. შენობით ზომით 96 კ. ს. 450 მანეთად. 2303 1-1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 28 ივლისს 1920 წ. დამტკიცდა 17 ივლისს 1920 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული დომინივა მარკოზის ასული ბაგმანიანცის მიერ ანდრია ბესარიონის ძე დგებუაძეზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ზუგდიდში შენობით ზომით 500 კ. ს. 100,000 მანეთად. 2303 1-1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 28 ივლისს 1920 წ. დამტკიცდა 24 ივლისს 1920 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული ალექსი, იგივე აღმახსანი, და ივანე სიმონის ძეთ ბებიაშვილების მიერ ალექსანდრე სპირიდონის ძე ბარაბაძეზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში, რუბანის ქუჩის კუთხეში, გვგუთის ქუჩის შესახვევში ზომით 196 59 100 კ. ს. 100,000 მანეთად. 2303 1-1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 29 ივლისს 1920 წ. დამტკიცდა 2 ივნისს 1920 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული მოზა ივარილის ძე მირილაშვილის მიერ აბრამ დავიდის ძე მირილაშვილზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ფოთში მიხაილოვის ქუჩაზე № 45 შენობით ზომით 40 7 10 კ. ს. 100,000 მანეთად. 2303 1-1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 23 ივლისს 1920 წ. დამტკიცდა 16 ივლისს 1920 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული გიორგი ლევანის ძე ქორქაშვილის მიერ და მიხაილ ლევანის ძე ქორქაშვილის მიერ იაკობ არონის ძე ფიჩხაძეზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში ბაზრის ქუჩაზე შენობით ზომით ა. მხრით 21 ნახ. ალაბი, დ. 21 ნახ. ალაბი ჩ. 7 ალაბი ხოლო ს. მხრით 5 ნახ. ალაბი 275000 მანეთად. 2303 1-1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 24 ივლისს 1920 წ. დამტკიცდა 2 აპრილს 1920 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული ელენე ნიკოლოზის ასული, სიმონ ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძეების მიერ ფეოდოსია ნიკოლოზის ასული გუგუნავას მიერ ქალაქ ქუთაისის თვითმართველობისადმი და ქუთაისის საისტორიო და საეტიმოგრაფიო საზოგადოებისადმი ნაკვეთი მიწა მდებარე ქ. ქუთაისში ფრანგების ქუჩაზე შენობით ზომით 263 და 70 კ. ს. 10000 მანეთად. 2303 1-1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 24 ივლისს 1920 წ. დამტკიცდა 24 მარტს 1920 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული ანასტასია სიმონის ასული ზინვავას მიერ ვასილ ისაკის ძე ქეთევანი ანდრას ასული სულავებზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში, ლაგერის ქუჩის შესახვევში შენობით ზომით 200 კ. ს. 5000 მანეთად.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 26 ივლისს 1920 წ. დამტკიცდა 6 ივლისს 1920 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული ელო დავითის ძე ენუქაშვილის მიერ სარა ისაკის ასული ციციაშვილზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში ვაგარინის ქუჩაზე შენობით ზომით ა. და დ. მხრით 7 ნახ. ალაბი. ს. და ს. მხრით 27 ალაბი 1000 ეან. 2303 1-1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 19 ივლისს 1920 წ. დამტკიცდა 16 ივნისს 1920 წელს შესრულებული ნასყიდობა მიცემული გაბრიელ ივანეს ძე კვირიას მიერ, სილიბისტრო ისლამის ძე კინჭურაშვილზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ვალაქ ახალ-სენაკში, გიმნაზიის და მთის კალთის ქუჩების კუთხეში შენობებით ზომით 160 ოთხ. საქ. 65,000 მან. 2303 1-1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 19 ივლისს 1920 წ. დამტკიცდა 4 თებერვალს 1920 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული ვასილ სოგრატის ძე მარგველაშვილის მიერ სევერიან მელიტონის ძე სვანიძისადმი ნაკვეთი მიწისა მდებარე ქ. ქუთაისში მიხაილოვის ქუჩაზე ზომით მთელი მიწის ზომა სიგით ა. და დ. მხრით 12—12 ს. და 2—2 ალაბი, სივანიით კი ა. დ. 5—5 ალაბი და 3—3 გოჯი ხოლო დანარჩენ სიგებზე 5—5 ალაბი და 5—5 გოჯი 17500 მან. 2303 1-1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 2 მარამობისთვის 1920 წ. დამტკიცდა 2 დეკემბერს 1919 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული ფეოდორა, იგივე ფედრო, დავითის ასული ბენდლიანის მიერ ვასილ სიმონის ძე სვანიძეზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ზუგდიდში შენობით ზომით ა. და დ. მხრით 18 არშინი და 8 ვერშოკი და ჩ. და ს. 10 არშინი და 13 ვერშოკი 5000 მანეთად. 2303 1-1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 20 ივლისს 1920 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული ტფილისის საადგილ მამულო ბანკის მიერ მიხეილ ბესარიონის ძე მიმონოშვილზე ნაკვეთი მიწისა მდებარე ქ. ფოთში სინიავის და ვორონკოვის ქუჩების კუთხეში შენობით ზომით 420 კ. ს. 3256 მანეთად 16 კაპ. 2303 1-1

ფოთის მილიციის სამმართველო აცხადებს, რომ მოქალაქე პროკოპი ბესარიონის ძე მელიქიას დაჰკარგვია მისი უვადო პასპორტი მიღებული ფოთის ყოფილი პოლიციის სამმართველოდან 1906—1907 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2338 1-1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 20 ივლისს 1920 წ. დამტკიცდა 19 ივლისს 1919 წელს შესრულებული ნასყიდობა მიცემული ელისაბედ კოსტანტინეს ასული კლდიაშვილის მიერ სერათა სიმონის ასული ნასყიდოვზე ნაკვეთი მიწის—მდებარე ქ. ქუთაისში პოლიციის ქუჩის შესახვევში შენობებით ზომით 100 ოთხ. საქ. 3000 მან. 2308 1-1

წინანდლის სახელმწიფო მამულის მართებლობა ანით ასხადებს,

რომ შაბათს, 28 აგვისტოს, დილის 10 საათზე, ამავე მამულში დანიშნულია საჯარო ვაქრობა მამულშივე ელექტრონის სადგურის, შეშის სახეობის და წისქვილის მოსაწყობით. განმეორებითი ვაქრობა მოხდება 31 აგვისტოს. დაწერილებითი პირობების გაგება შეიძლება ტფილისში, მიწათ-მოქმედების სამინისტროს სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში ყოველ დღე 9—1 საათამდე და თვით მამულში ყოველ დროს. მსურველი შეუძლიან დახურული პაკეტების წარმოადგენა. ყველა ეს საშუალო დაფასებულია 880,000 მან. და ვაქრობაც ამ ფასებიდან დაიწყება. 2361 2-1

მოურავი ე. ჩაიშვილი.